„კერძო სექტორის ადამიანური რესურსების პრაქტიკის ადაპტირება თანამშრომელთა კმაყოფილებისა და შენარჩუნების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საჯარო სექტორში”

სტუდენტი: ანა კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება სამეცნიერო

ხელმძღვანელი: ნინო ბერუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კაპანაძე

20.06.2026

ანოტაცია

წინამდებარე კვლევა შეისწავლის კერძო სექტორის ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკების ადაპტაციის პოტენციალს თანამშრომელთა კმაყოფილებისა და სამუშაო ძალის შენარჩუნების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საჯარო სექტორში. კვლევა ეფუძნება დაშვებას, რომ ადამიანური რესურსების მართვის არაფინანსური პრაქტიკები შეიძლება ეფექტიან ინსტრუმენტებად იქცეს თანამშრომელთა მოტივაციისა და ორგანიზაციული ერთგულების გასაძლიერებლად. კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით და მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოყენებულ იქნა კერძო სექტორში დასაქმებულ თანამშრომელთა შორის გავრცელებული კითხვარი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, თანამშრომელთა აღიარება, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი, მხარდამჭერი ლიდერობა და პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომელთა კმაყოფილებასა და სამუშაო ძალის შენარჩუნებაზე. მიღებული შედეგები ასევე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი არაფინანსური ხასიათისაა და მათი დანერგვა შესაძლებელია შედარებით შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებშიც. კვლევა ასკვნის, რომ კერძო სექტორის ადამიანური რესურსების მართვის შერჩეული პრაქტიკების ადაპტაციას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია საქართველოს საჯარო სექტორში თანამშრომელთა კმაყოფილების, ორგანიზაციული ერთგულებისა და სამუშაო ძალის შენარჩუნების გასაძლიერებლად.

Abstract

This study examines the potential for adapting private-sector human resource management practices to improve employee satisfaction and retention within the public sector of Georgia. The research is based on the assumption that non-monetary HR practices can serve as effective tools for increasing employee motivation and organizational commitment. The study applies a qualitative research approach and utilizes a questionnaire distributed among private-sector employees. The findings indicate that professional development opportunities, employee

recognition, work-life balance, supportive leadership, and positive organizational culture are among the most influential factors affecting employee satisfaction and retention. The results further suggest that many of these factors are non-monetary in nature and can be implemented with relatively limited financial resources. The study concludes that the adaptation of selected private-sector HR practices has significant potential to strengthen employee satisfaction and workforce retention in Georgia's public sector.